

ფემიციდის
მონიტორინგის
ანგარიში
2018

საქართველოს
სახალხო დამცველი | 2020

ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2018

საქართველოს სახალხო დამცველი | 2020

მეთოდოლოგიის ავტორი: თამარ დეკანოსიძე

სისხლის სამართლის საქმეების და სტატისტიკის ანალიზზე მუშაობდნენ ექსპერტები:

გიორგი გოცირიძე და ნინო იაკობიძე

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს. გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

სარჩევი

შესავალი	4
1. კვლევის მეთოდოლოგია	6
2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობების სტატისტიკა	7
3. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები	10
3.1. მტკიცებულებების შეკრება	10
3.2. დაზარალებულად ცნობა	10
3.3. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება	10
3.4. გენდერული მოტივის დადგენა	11
3.5. ძალადობის წინარე ისტორიის გამოკვლევა	11
4. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტის შესახებ განჩინებების/დადგენილებების ანალიზი	13
5. სასამართლო ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზები	14
5.1. 53 ^ე მუხლის გამოყენების სპეციფიკა ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებში	14
5.2. სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები	15
დასკვნა	16
რეკომენდაციები	17
დანართი №1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა	19
დანართი №2: განხილულ საქმეთა დეტალური ანალიზი	21

შესავალი

სახელმწიფოს მიერ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის მიმართულებით, ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯებისა და პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობების პრევენცია, და ამგვარ საქმეებზე მართლმსაჯულების და სამართალდაცვითი ფუნქციების ეფექტიანი აღსრულება კვლავ გამოწვევად რჩება.

საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, 2016 წლიდან ახორციელებს ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგს; მონიტორინგის მიზანია გააანალიზოს ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების, მკვლელობის მცდელობისა და თვით-მკვლელობამდე მიყვანის თითოეული საქმე, რათა გამოავლინოს ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის მექანიზმის ხარვეზები, შემდგომში ამ მექანიზმების დასახვეწად და განსავითარებლად.

სახალხო დამცველმა, შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, დეტალურად გააანალიზა 2014-2017 წლებში მომხდარი ფემიციდის შემთხვევები და უწყებებისთვის შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები.¹ მისასალმებელია, რომ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი შესრულდა, რამაც გააუმჯობესა მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები. სახალხო დამცველის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო ფემიციდის, როგორც გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობის, ცალკე გამოყოფა სისხლის სამართლის კოდექსში. საპასუხოდ, 2018 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები

შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში. 2019 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ პირველად გამოიყენა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, 2018 წლის 22 დეკემბერს ყოფილი ცოლისა და სიდედრის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით.

ფემიციდზე ზედამხედველობის მექანიზმის ფარგლებში შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს² რეკომენდაციით, სახალხო დამცველმა განახორციელა 2014-2018 წლებში მომხდარი შემთხვევების მონიტორინგი, რომელიც მიზნად ისახავდა მართლმსაჯულების განხორციელების და სტატისტიკის დინამიკის შეფასებას, მიღებული პროგრესის გაზომვას და არსებული ხარვეზების გამოვლენას.

2018 წელს მომხდარი ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეები, 5 წლიანი მონიტორინგის ანგარიშის ფარგლებში გააანალიზდა, ამის მიუხედავად, ბოლო პერიოდის ტენდენციების გათვალისწინებით, საჭიროდ მივიჩნიეთ ცალკე სახით, სპეციალური ანგარიში გამოგვეცა.

წინამდებარე ანგარიში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შემუშავებული სპეციალური ანგარიშია ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის ფარგლებში. ანგარიშში გააანალიზებული დანაშაულები ჩადენილია 2018 წელს. ვიმედოვნებთ, წარმოდგენილი მიგნებები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება ფემიციდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

1 2016 და 2017 წლის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშები ხელმისაწვდომია ვებგვერდებზე: <https://bit.ly/39DNi1L>; <https://bit.ly/2waW6yw> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 აპრილს].

2 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.ombudsman.ge/geo/femitsidze-zedamkhedvelobis-meqanizmis-sakonsultatsio-sabchos-shesakheb> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 11 მარტს].

1. კვლევის მეთოდოლოგია

გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) მონიტორინგის მეთოდოლოგიური ჩარჩო სახალხო დამცველის აპარატის მიერ შეიქმნა, და ის ასევე გამოვიყენეთ წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას.³

კვლევის მიზნებისათვის, საქართველოში არსებული კონტექსტიდან გამომდინარე და ლათინოამერიკულ სახელმძღვანელო ოქმზე⁴ დაყრდნობით, სახალხო დამცველი იყენებს ფემიციდის შემდეგ განმარტებას:

ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან, ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით, ასევე, ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით.

ქალის მკვლელობის ფაქტი ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ჩადენილია ფემიციდი. გენდერთან დაკავშირებული ქალთა მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმის

მიხედვით, ფემიციდია, როდესაც მკვლელობა ან ქალის გარდაცვალება უკავშირდება ქალის გენდერს, კერძოდ, უნდა არსებობდეს გარკვეული ნიშნები, რომ მკვლელობის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია გენდერულ ძალადობასთან ან/და დისკრიმინაციასთან.⁵

რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, სასამართლო საქმეების ანალიზისას, წინამდებარე კვლევისათვის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ფემიციდის მოტივის ნიშნები, კერძოდ:

- მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული ან სექსისტური დამოკიდებულება;
- მესაკუთრული დამოკიდებულება;
- ქცევის კონტროლი;
- სტერეოტიპული გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა.⁶

მსხვერპლისთვის დადგენილი გენდერული როლებისადმი დაუმორჩილებლობა და მათ წინააღმდეგ ნასვლა, იკვეთება როგორც დანაშაულის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზი/მოტივი.

ფემიციდის საქმეთა მონიტორინგი სამ ეტაპად ჩატარდა. **კვლევის პირველი ეტაპი** გულისხმობდა ფემიციდთან და ფემიციდის მცდელობასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის და

3 „ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: ქალთა გენდერული მკვლელობები“ 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. საქართველოს სახალხო დამცველი, 2017.

4 Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“ - შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14.

5 Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“ - შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14.

6 მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია 2016 წლის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშში. გვ. 6-10. ონლაინ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2KrEn9k> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 23 აპრილს].

გამამტყუნებელი განაჩენების გამოთხოვას საერთო სასამართლოებიდან,⁷ ასევე, სტატისტიკური ინფორმაციის, სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებების გამოთხოვას საქართველოს გენერალური პროკურატურიდან.

კვლევის მეორე ეტაპზე, გაანალიზდა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებიდან მიღებული გამამტყუნებელი განაჩენები, ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის გამოსავლენად.

კვლევის მესამე ეტაპზე სამივე ინსტანციის სასამართლოდან გამოვითხოვეთ საქმის სრული მასალები მეთოდოლოგიის მიხედვით შერჩეულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა განაჩენებზე, ასევე, აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით, ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მართლმსაჯულების განხორციელების ხარვეზების გამოსავლენად.⁸

საერთო სასამართლოდან სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა 31 განაჩენი. ამ განაჩენებიდან მხოლოდ 17 საქმე შეფასდა როგორც ფემიციდი და ფემიციდის მცდელობა. ჯამში სისხლის სამართლის საქმეები 16 საქმეზე გაანალიზდა. ერთ საქმეში მხოლოდ განაჩენი შეფასდა.⁹ ქალის მკვლელობას ეხებოდა 6 საქმე, მკვლელობის მცდელობას 10 საქმე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული ერთი საქმე ერთი და იმავე მამაკაცის მიერ ერთი

ქალის დასრულებულ მკვლელობას და მეორე ქალის მკვლელობის მცდელობას ეხებოდა.

ქალის მკვლელობის საქმეებიდან, ერთი განაჩენი გამოიტანა გორის რაიონულმა სასამართლომ, ერთი - ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ორი - რუსთავის რაიონულმა სასამართლომ, სამი - თბილისის საქალაქო სასამართლომ. მკვლელობის მცდელობის გაანალიზებული საქმეებიდან, ყველაზე მეტი - 6 საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოზე მოდის, ორი საქმე - ზუგდიდის რაიონულ სასამართლოზე, ერთი - სამტრედიის რაიონულ სასამართლოზე, ერთი - ქუთაისის საქალაქო სასამართლოზე, ხოლო ერთი - ბათუმის საქალაქო სასამართლოზე.

2018 წელს მომხდარ ქალთა მკვლელობის/მკვლელობის მცდელობის შემთხვევებზე გამოძიების და დევნის შეწყვეტის შესახებ, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული დადგენილებები/განჩინებები - სულ 6 საქმე, ასევე გაანალიზდა ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის გამოსავლენად.¹⁰


კვლევაში მოხმობილი სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლოებიდან მიღებული საქმის მასალების ანალიზს ეფუძნება. შესაბამისად, ანგარიშში მოხმობილი სტატისტიკა არ უნდა აღვიქვათ 2018 წლებში მომხდარი ქალთა მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტების ზუსტ სტატისტიკად.

- 7 ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლითაც შესაძლებელი იყო ფემიციდის საქმეების დაკვალიფიცირება, კერძოდ: განზრახ მკვლელობა (სსკ მუხლი 108), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ მუხლი 109), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ მუხლი 111), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ 117.2), თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ მუხლი 115), სსკ-ის 19, 108ე და 19, 109ე მუხლი (დანაშაულის მცდელობა). მუხლების ჩამონათვალს, 2018 წელს დაემატა სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილი - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ასევე, 118.2 მუხლი, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, სადაც, შეიძლება, ასევე გამოიკვეთოს ფემიციდი. დამატებით, გამოვითხოვეთ სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენები სისხლის სამართლის იმ მუხლებთან დაკავშირებით, სადაც, შესაძლებელია, ასევე გამოკვეთილიყო ფემიციდის სხვადასხვა ტიპი. კერძოდ, ქალის გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 137.4.ბ), სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 138.3.ბ), უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 133.3), სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ 133.3), ქალის სასქესო ორგანოების დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ 133.3), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 143.4.ბ), წამება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 144.3.გ), თუმცა აღნიშნული მუხლებით არცერთი საქმე არ განხილულა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი: 14.05.2019, №3-811-19.
- 8 საქმეთა ნაწილი სახალხო დამცველის აპარატს მოეწოდა მატერიალური სახით, ხოლო საქმეების ნაწილს გავცანით თბილისის საქალაქო სასამართლოში.
- 9 აღნიშნული საქმე ეხება 2018 წელს მომხდარ ფემიციდის მცდელობას, კვლევის პერიოდში ამ საქმეზე მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი არსებობდა, რომელიც სააპელაციო სასამართლოში იყო გასაჩივრებული. ამ უკანასკნელს კვლევის პერიოდში ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული.
- 10 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/57408, 07/აგვისტო/2019 წ.


2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობების სტატისტიკა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა 2018 წელს მომხდარი ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის სულ 17 საქმე გააანალიზა. გაანალიზებული 17 საქმიდან 6 ეხება


მხოლოდ ფემიციდს, 10 - ფემიციდის მცდელობას, 1 საქმე ეხება როგორც ფემიციდს, ისე ფემიციდის მცდელობას.




დიაგრამა N1: ფემიციდის ჩამდენი ოჯახის წევრები



დიაგრამა N2: ფემიციდის ჩამდენი გარეშე პირები



დიაგრამა N3: ფემიციდის მცდელობის ჩამდენი ოჯახის წევრები - 9




დიაგრამა N4: დანაშაულის ჩამდენი გარეშე პირები - 2

სტატისტიკა აჩვენებს, რომ როგორც ფემიციდს, ისე ფემიციდის მცდელობას, ყველაზე ხშირად ქალის მიმართ ჩადიან ქმრები/პარტნიორები, ყოფილი ქმრები/პარტნიორები ან შეყვარებულები,¹¹


მიუხედავად იმისა, ცხოვრობდნენ თუ არა ისინი ოდესმე ერთად ან თანაუგრძნობდა თუ არა მსხვერპლი მათ.

11 ტერმინი „შეყვარებული“ მოიაზრებს როგორც პირებს, რომლებსაც, რამდენადაც ეს საქმის მასალებიდან ირკვევა, არ ჰქონდათ ერთმანეთთან სექსუალური კავშირი, ასევე პირებს, რომლებსაც ცალმხრივად უყვარდათ მეორე პირი, მეორე მხარისათვის ეს ცნობილი იყო, მაგრამ არ თანაუგრძნობდა.




დიაგრამა N5: ფემიციდის ჩადენის მოტივი

დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივი იკითხება ბრალდებულის, დაზარალებულისა და სხვა მოწმეთა ჩვენებებში, სადაც ხშირია გენდერულად განსაზღვრული ლექსიკის გამოყენება. მიუხედავად ამისა, როგორც გამოძიების, ისე სასამართლოს ეტაპზე, პრობლემურია გენდერული მოტივის გა-



დიაგრამა N6:
ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივი


მოკვეთა და მასზე მსჯელობა. ყველაზე ხშირად, როგორც ფემიციდის, ისე ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივად მითითებულია „შურისძიება“. 2018 წლის საქმეთა ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ერთ საქმეში მოტივი არ იკვეთება.



დიაგრამა N7: ფემიციდის ჩადენის ადგილი

განალიზებული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილი უფრო ხშირად არის სახლი, რაც, ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ფემიციდის, როგორც გენდერული დანაშაულის ხასიათს.

როგორც ფემიციდის, ისე ფემიციდის მცდელობის იარაღი, უმეტესწილად იყო დანა.¹² მოძალადეთა უმეტესობა, მკვლელობის მცდელობის ჩადენისას




დიაგრამა N8:
ფემიციდის მცდელობის ჩადენის ადგილი

ფხიზელი იყო, მკვლელობის ჩადენისას აღნიშნულ მონაცემებს შორის სხვაობა მცირეა.¹³ განალიზებული საქმეებიდან ირკვევა, რომ დანაშაულის ჩამდენ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა საშუალო განათლების მქონე პირია, და დანაშაულის ჩადენის პერიოდში - უმუშევარი.¹⁴ რაც შეეხება დანაშაულის ჩამდენ პირთა ნასამართლობას, სტატისტიკა ასე გამოიყურება:


12 ფემიციდის ჩადენის იარაღი 1 შემთხვევაში იყო ქვა, 1 - მსხვილი ჯოხი, 1 - ელექტროსადენი, 1 - ცეცხლსასროლი იარაღი, დანა - 4. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის საქმეებს, 8 შემთხვევაში დანაშაულის იარაღი იყო დანა, 1 - ცეცხლსასროლი იარაღი, 1 - გაზის მილი, 1 - შემთხვევაში დაუდგენელია.

13 ფემიციდის შემთხვევებში, 3 ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს ფხიზელი იყო, დანაშაულის ჩადენის დროს ალკოჰოლური თრობის ქვეშ იყო 4 ბრალდებული. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის საქმეებს, ბრალდებული პირებიდან დანაშაულის ჩადენის დროს ფხიზელი იყო ან მათი მდგომარეობა დაუდგენელია 8 შემთხვევაში, ხოლო ბრალდებული ალკოჰოლური თრობის ქვეშ იყო 3 შემთხვევაში.

14 ფემიციდის ჩამდენი პირებიდან 5 იყო საშუალო განათლების მქონე, 2 - არასრული საშუალო. რაც შეეხება დასაქმების მონაცემებს, 5 ბრალდებული უმუშევარი იყო, 2 - დასაქმებული. ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირებიდან 10 იყო საშუალო განათლების მქონე, 1 - უმაღლესი განათლების მქონე. ფემიციდის მცდელობის შემთხვევებიდან 9 ბრალდებული იყო უმუშევარი, 1 დასაქმებული, ხოლო 1 საქმეში აღნიშნული მონაცემი გაურკვეველია.



დიაგრამა N9:
ფემიციდის ჩამდენ პირთა ნასამართლეობა



დიაგრამა N10:
ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირთა ნასამართლეობა


სტატისტიკის ქრილში ასევე გაანალიზდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი დაზარალებული ქალების და ბრალდებული კაცების რაოდენობა. პირის ეთნიკურ უმცირესობად მიჩნევისას გამოვიყენეთ როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური კრიტერიუმი. ობიექტურ კრიტერიუმად მიჩნეულია როგორც დაზარალებულის, ისე ბრალდებულის მიერ ქართული ენის არცოდნა ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. სუბიექტურ კრიტერიუმად მიჩნეულია ის გარემოება, რომ იმის მიუხედავად, რომ ადამიანი

ფლობს ქართულ ენას და საქართველოს მოქალაქეა, გამოძიებასა და სასამართლოში აცხადებს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია.¹⁵

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 წელს მოხდა 7 ფემიციდის დანაშაული, აქედან ხუთ შემთხვევაში დაზარალებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი იყო.¹⁶

რაც შეეხება სასჯელებს, ყველაზე მკაცრი სასჯელი - უვადო თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნა 2018 წელს ჩადენილ სამი ქალის გენდერული მკვლელობის საქმეზე.¹⁷ ფემიციდისათვის ყველაზე მსუბუქი სასჯელი 12 წლით თავისუფლების აღკვეთა იყო.

ფემიციდის მცდელობისათვის გამოყენებული ყველაზე დიდი სასჯელი, 18 წლით თავისუფლების აღკვეთაა.¹⁸ ფემიციდის მცდელობისთვის ყველაზე მსუბუქი სასჯელი, 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, თბილისის საქალაქო სასამართლომ ორ საქმეზე გამოიყენა.¹⁹



დიაგრამა N11:
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირები ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეებში

15 არც ობიექტური და არც სუბიექტური კრიტერიუმის არარსებობის შემთხვევაში, არც ბრალდებული, და არც დაზარალებული არ ყოფილან შეყვანილი ეთნიკური უმცირესობის სტატისტიკაში. შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ საქმეში იყვნენ არაქართული გვარის მატარებელი ბრალდებულები და დაზარალებულები, ისინი არ ყოფილან მიჩნეულები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლად, ვინაიდან არც სუბიექტური, არც ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობდა მათ ასეთად მისაჩნევად.

16 შვიდიდან მხოლოდ ორ შემთხვევაში იყვნენ ფემიციდის ჩამდენი პირები ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული მამაკაცები.

17 ასეთი სასჯელი გამოიყენა გორის რაიონულმა სასამართლომ 2018 წელს მ.კ.-ს მიმართ, რომელმაც გაუპატიურების მიზნით მსხვერპლს ცეცხლსასროლი იარაღით ჯერ ქმარი და მცირეწლოვანი შვილი დაუხოცა, შემდეგ, ქალი გააუპატიურა და ჩანჩქერში დაახრჩო. მეორე საქმეც 2018 წელს მოხდა, როდესაც მამინაცვალმა ორი არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით მოკლა გერი იმის გამო, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ბრალდებულის ურთიერთობას დედასთან. ეს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა. რაც შეეხება მესამე საქმეს, მამაკაცმა საცოლე ქვით და დანით მოკლა. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წელს ამ საქმეზეც უვადო თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა.

18 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 სექტემბრის განაჩენი №1/3253-18.

19 ერთი საქმე ეხება თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანას, ხოლო მეორე - 117-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს.

3. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

3.1. მტკიცებულებების შეკრება

2018 წელს ჩადენილი ერთ-ერთი დანაშაულის შემთხვევაში, გამოძიებამ ვერ უზრუნველყო დაზარალებულის დაზიანების სათანადო დოკუმენტირება და ვერ მოახერხა იმგვარი მტკიცებულების შეკრება, რაც სამედიცინო ექსპერტიზას შესაძლებლობას მისცემდა, დაედგინა, სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები მსხვერპლს რა საგნით მიაყენეს. ამ გარემოების დაუდგენლობამ, საბოლოო ჯამში, გავლენა მოახდინა ქმედების კვალიფიკაციაზე.

ასევე, მაგალითად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,²⁰ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ „დაზიანების ჭრილობის მიმყენებელი საგნის განსაზღვრა შეუძლებელია, ვინაიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული არარის მისი (ჭრილობის) სრულყოფილი მორფოლოგიური სურათი. ჭრილობა მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის საშიფათოს“. თავად დაზარალებულს ექსპერტიზა არ ჩატარებია. დაზარალებულის ჩვენებით, ქმარმა მას დანა დაარტყა. დანის გამოყენება დადასტურდა ბიოლოგიური ექსპერტიზითაც, თუმცა გამოძიებამ ვერ უზრუნველყო დაზარალებულის დაზიანების სათანადო დოკუმენტირება, რამაც შეუძლებელი გახადა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის საშუალების დადგენა და შედეგად, დანაშაულებრივ განზრახვას ნათელი ვერ მოეფინა.

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის იარაღის დადგენა ვერც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში მოხერხდა.²¹ დაზარალებულის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მას „თავის მიდამოში აღენიშნებოდა ნაჩხვლეტი ჭრილობა“. საქმის მასალებიდან კი ირკვეოდა, რომ ბრალდებულმა ცოლს თავში წიხლი ჩაარტყა, რის შედეგადაც დაზარალებულმა გონება დაკარგა. გამოძიებამ ვერც დაზარალებულის და ვერც ბრალდებულის აღიარებითი ჩვენებით, ვერც სხვა საგამოძიებო მოქმედებით, მცდელობის მიუხედავად, ვერ დაადგინა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო „მჩხვლეტავი საგანი“, რითაც დაზარალებულს სიცოცხლისათვის საშიფათო დაზიანება მიადგა.

3.2 დაზარალებულად ცნობა

დადებითი ტენდენციაა ის გარემოება, რომ 2018 წლებში მომხდარი მკვლელობის ან/და მკვლელობის მცდელობის საქმეებში, პირების დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა დროულად ხდებოდა.

3.3 აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება

2018 წელს განხილულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის არცერთ საქმეში პროკურორს არ მოუთხოვია პატიმრობაზე მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება, არც სასამართლოს გამოუყენებია პატიმრობის გარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის სავარაუდო ჩამდენი პირების მიმართ.

20 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, მ.ყ.-ს საქმე №1/164-2018.

21 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე, ე.პ.-ს საქმე №1/4483-18.

2018 წელს სიახლე იყო ალკვეთის ღონისძიების განჩინების დასაბუთება მომავალში გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულის განმეორებით ჩადენის საშიშროებით. კერძოდ, ორ საქმეში, ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევისას, თბილისის საქალაქო სასამართლომ განაცხადა, რომ ბრალდებულს არ ჰქონდა კონფლიქტი ამონერული თავის მეუღლესთან, წარსულში არაერთხელ ჰქონდა ოჯახში ძალადობას ადგილი, შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ, პატიმრობის გარდა, სხვა ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, ბრალდებული ან გაიმეორებდა ცოლის მიმართ დანაშაულს, ან ჩვენების შეცვლის მიზნით, მოახდენდა მასზე ზემოქმედებას. ალკვეთის ღონისძიების დასაბუთებისას პროკურატურა სასამართლოს წარუდგენდა წარსულში ბრალდებულის მიმართ გამოცემულ დამცავ ან შემაკავებელ ორდერებს,²² ასევე წარსულში ოჯახში მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით მიღებულ განაჩენებს,²³ რაც ცალსახად დადებითი პრაქტიკაა.

2018 წელს ფემიციდის არცერთ საქმეში არ გაფორმებულა საპროცესო შეთანხმება, საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ფემიციდის მცდელობის მხოლოდ 1 საქმეში (სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რაც საშიშია სიცოცხლისათვის).²⁴ ეს გარემოება მიუთითებს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკაზე ოჯახში ჩადენილ და გენდერულად მოტივირებულ დანაშაულზე.

3.4 გენდერული მოტივის დადგენა

ზემოთ განხილული დადებითი ტენდენციების პარალელურად, გამოძიების ეტაპზე გენდერული მოტივის დადგენა უფრო რთულდება. ხშირად, ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება, დანაშაულის გენდერულ მოტივზე მიმთითებელი საქმეში არსებული ერთადერთი მტკიცებულებაა.

ამის ნათელი მაგალითია ლ.გ.-ს საქმე, რომელიც გამოძიებაში აცხადებდა, რომ მეგობარი გოგო ლალატის გამო მოკლა. მას შემდეგ, რაც ბრალი დაუმიძიეს, ბრალდებულმა გენდერული მოტივის არსებობაც უარყო და თავად დანაშაულის ჩადენაც. მართალია, ამ საქმეში ბიოლოგიური ექსპერტიზის და სოციალურ ქსელებში მიმოწერების საფუძველზე, ლ.გ.-ს დანაშაული დადასტურდა, თუმცა სასამართლო განხილვის ეტაპზე აღიარების უარყოფის გამო, სასამართლომ ვერ დაადგინა, რა გახდა საქმროს მხრიდან ახალგაზრდა ქალის მკვლელობის მოტივი.²⁵ გამოძიების მცდელობის მიუხედავად, მოცემულ შემთხვევაში მოტივი ვერ გამოიკვეთა.

გამომდინარე იქიდან, რომ მოტივი დანაშაულის სუბიექტური მხარეა და ხშირად მხოლოდ ბრალდებულმა იცის, რა მოტივით სჩადის დანაშაულს, მნიშვნელოვანია, ფემიციდის დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით, ბრალდებულის აღიარებას მოტივის თაობაზე მნიშვნელობა მიენიჭოს საქმის დისკრიმინაციულ დანაშაულად კვალიფიცირებისთვის.

3.5 ძალადობის წინარე ისტორიის გამოკვლევა

ფემიციდი და ფემიციდის მცდელობა ხშირად არის გენდერული უთანასწორობის და სისტემური გენდერული ძალადობის კულმინაცია, შესაბამისად, დანაშაულის ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად კვალიფიკაციის დროს, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იმის გამოკვლევას, განიცდიდა თუ არა მსხვერპლი დამნაშავის მხრიდან გენდერულ დისკრიმინაციას და ძალადობას მკვლელობის ჩადენამდე. ძალადობის წინა ისტორიის გამოკვლევა, მნიშვნელოვანია დანაშაულის მოტივის გამოსაკვლევად და სასჯელის შესაფარდებლად.

22 თბილისის საქალაქო სასამართლოს ი.ც.-ს საქმე №1/737-18; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1311-18.

23 თბილისის საქალაქო სასამართლოს ვ.ბ.-ს საქმე №1/3152-18.

24 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1/649-18.

25 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2163-18.

2018 წლიდან გამოძიებამ დაიწყო ძალადობის წინაისტორიის შესწავლა და დამატებით მოახდინა ამ ქმედებების სამართლებრივი კვალიფიკაცია. 2018 წლიდან ძალადობის წინა ისტორიები პროკურატურას და სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების დასაბუთებაში ეხმარება.²⁶

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გამოითხოვა ინფორმაცია კვლევაში გაანალიზებულ საქმეებზე ძალადობის წინარე მიმართულების შე-

სახე. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის ჩადენამდე, დაზარალებულმა ბრალდებულის მხრიდან ჩადენილი ძალადობრივი ქმედების შესახებ 5 შემთხვევაში განაცხადა.²⁷

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 წლის 1 საქმეზე, შეიძლება ითქვას, რომ მოძალადის მხრიდან უფრო მძიმე ძალადობის, ფემიციდის მცდელობის ჩადენა დაზარალებულის მიმართ, პოლიციის დროული და ეფექტიანი რეაგირების არარსებობამ გამოიწვია.²⁸

-
- 26 პროკურორი ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე წარადგენს ბრალდებულის მიმართ გამოცემულ დამცავ და შემაკავებელ ორდერებს, ასევე, მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციული სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე დადგენილებას, დაზარალებულის მიმართ დანაშაულის ჩადენის თაობაზე განაჩენს. ამ მტკიცებულებების საფუძველზე, პროკურორი ამტკიცებს, რომ კვლავაც არსებობს იმის საფრთხე, რომ პატიმრობის გარდა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, ბრალდებულმა ჩაიდინოს გენდერული დანაშაული ან ზემოქმედება მოახდინოს დაზარალებულზე ან მის ახლო ნათესავზე. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო ყოველ ასეთ შუამდგომლობას იზიარებს.
- 27 საქმეთა ნაწილზე გამოვითხოვეთ ინფორმაცია, ხოლო ნაწილი საქმეებისა, სახალხო დამცველმა ინდივიდუალურად შეისწავლა და უკვე გვქონდა მოწოდებული ინფორმაცია ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის ფაქტამდე ძალადობის წინარე მიმართულების შესახებ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილები: MIA 0 19 02918078, 01/11/2019; ასევე, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებზე მოწოდებული წერილები: MIA 0 18 01738638, 20/07/2018; MIA 5 18 01257321, 29/05/2018; 22/02/2018, MIA 1 18 00431324; MIA 0 18 00446741, 23/02/2018; MIA 2 18 00901864, 18/04/2018; MIA 4 18 00708555, 27/03/2018; MIA 8 18 03133932, 28/12/2018; MIA 5 18 03046783, 18/12/2018; MIA 3 19 00094825, 14/01/2019.
- 28 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/40179, 04 /ივნისი/2019 წ. პოლიციელ ა.ჯ.-ს მიერ 2018 წელს თავისი მეგობარი ქალის მკვლელობის მცდელობა და მეგობარი ქალის ყოფილი ქმრის მკვლელობა, სადაც სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე (სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით), ბრალი საპატრულო პოლიციის 2 თანამშრომელს წარედგინა.

4. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტის შესახებ განჩინებების/დადგენილებების ანალიზი

2018 წელს, სახალხო დამცველის აპარატს, დადგენილებები/განჩინებები გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, 6 საქმეზე მოუწოდა. მათგან 5 საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის შეურაცხადობის გამო შეწყდა, ხოლო დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოძიება შეწყდა 1 საქმეზე.

სახალხო დამცველის აპარატმა ასევე გამოითხოვა ინფორმაცია ხსენებულ საქმეებზე მომხდარ დანაშაულის ფაქტამდე შინაგან საქმეთა სამინისტროში შესაძლო ძალადობის თაობაზე შესული შეტყობინებების თაობაზე. 2018 წელს, სიცოცხლის მოსპობამდე/მცდელობამდე, მხოლოდ 1 საქმეში იკვეთება პოლიციისათვის შეტყობინება.²⁹

სახალხო დამცველი სიფრთხილით ეკიდება იმ შემთხვევების ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად დაკვალიფიცირებას, რომლებიც ჩადენილია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მიერ, შეურაცხადობის მდგომარეობაში. ამის მიზეზი იმ გარემოების დადგენის სირთულეა, რამდენად აღიქვამენ აღნიშნული პირები გენდერის კონცეფციას.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ მოწოდებული განჩინებები სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესების შესახებ, ზოგჯერ თითქმის არანაირ მითითებას არ შეიცავენ საქმის ფაქტობრივი გარემოების თაობაზე. კერძოდ, ასეთ განჩინებებში არ გვხვდება მითითება, რა ფაქტობრივ გარემოებებში შეეცადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მოეკლა ქალი, ან რა გარემოებებში მოკლეს ქალი.

29 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი: MIA 9 19 03066775, 15/11/2019, MIA 1 19 02218922, 21/08/2019.

5. სასამართლო ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზები

5.1 53¹ მუხლის გამოყენების სპეციფიკა ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებში

ამ პერიოდის განმავლობაში გარკვეული გარდატეხა მოხდა სასამართლო პრაქტიკაში. მოსამართლეები სულ უფრო მეტად მიუთითებენ სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლზე, რომლის პირველი პუნქტითაც, დანაშაულის ჩადენა გენდერის ნიშნით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა. ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით პასუხისმგებლობა მძიმდება, თუკი ქმედება ჩადენილია ოჯახის წევრის მიმართ. პოზიტიურად უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ განხილულ ფემიციდის საქმეებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) ციტირება, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ საქმეებზე მითითება, სადაც ყოფილი ქმრისაგან ქალის სიცოცხლის დაუცველობის გამო დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება (მაგალითად, OPUZ v Turkey, Halime Kilic v Turkey).

სასამართლოები უფრო ხშირად უთითებენ სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მეორე პუნქტზე, რომელიც ითვალისწინებს ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი დანაშაულის შესახებ პასუხისმგებლობის დამძიმებას, ვიდრე ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გენდერულ ნიშანზე. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ როგორც სასამართლოებში, ისე იურიდიულ წრეებში, კვლავაც პრობლემად რჩება

ტერმინის, „გენდერული ნიშანი“, მნიშვნელობის აღქმა.

განსაკუთრებით პრობლემურია გენდერული ნიშნით ისეთი ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის კვალიფიკაცია, რომელიც არ არის ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ. მაგალითად, მ.კ-ს საქმე³⁰, რომელიც გორის რაიონულმა სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობით განიხილა. ამ შემთხვევაში უტყუარად დადგინდა ის, რომ მსჯავრდებულმა სექსუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით მოკლა ქალი, და ამ ქალს ქმარი და შვილიც მოუკლა. სასჯელი ამ საქმეში მოსამართლემ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე დანიშნა, თუმცა გაუპატიურების მიზნის მისაღწევად მკვლელობაში გენდერული მოტივი მოსამართლემ ვერ დაინახა. იმის მიუხედავად, რომ ამ საქმეში უკადო თავისუფლების აღკვეთა დაინიშნა, ეს დანაშაულის გენდერული მოტივით დასაბუთების გამო არ მომხდარა.

იმავს თქმა შეიძლება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ მ.მ-ს საქმეში³¹, სადაც მამაკაცმა დანით დაჭრა თავისი მეგობარი ქალი იმის გამო, რომ ქალი დაქორწინებას სთხოვდა. ამ შემთხვევაშიც, რადგანაც ბრალდებული და დაზარალებული ერთად არ ცხოვრობდნენ და არ ეწეოდნენ საერთო მეურნეობას, სასამართლომ განაჩენში გენდერულ მოტივზე არ მიუთითა. სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „გენდერული ნიშანი“ ძირითადად გამოიყენება ამავე მუხლის მე-2 პუნქტთან ერთად, მხოლოდ მაშინ, როცა დანაშაული ჩადენილია ოჯახის წევრი ქალების მიმართ.

30 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/485-18.

31 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1/649-18.

აღსანიშნავია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული ა.ჯ.-ს საქმე, სადაც მამაკაცმა ეჭვიანობის გამო სცადა მეგობარი ქალის მოკვლა.³² ამ საქმეში დაცვის მხარე თავის სააპელაციო საჩივარში აკრიტიკებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომლის თანახმადაც ქმედება ჩადენილი იყო გენდერული მოტივით. დაცვის მხარის მტკიცებით, დანაშაული მოტივირებული იყო არა გენდერული ნიშნით, არამედ როგორც თავად დაცვის მხარე აცხადებდა, „*დაზარალებულის არასწორი ცხოვრების წესით*“. საგულისხმოა, რომ ამ საქმეში ადვოკატი ასაჩივრებს გენდერული მოტივის არსებობას, თუმცა თავადვე არასენსიტიური ფორმით მიუთითებს ამ მოტივის არსებობაზე.

ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ იურიდიული წრეების ნაწილისთვის ჯერ კიდევ გაუგებარია, რომ ეჭვიანობის ან ღალატის მოტივით დანაშაულის ჩადენა, მსხვერპლის მიმართ დანაშაულის ჩამდენი პირის მესაკუთრულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს და გენდერული მოტივით ჩადენილი დანაშაულია.

5.2 სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები

იმის მიუხედავად, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებში მიეთითება სტამბოლის კონვენციაზე, ეს გარემოება ზოგჯერ გავლენას არ ახდენს სასჯელის სიმძიმეზე. მაგალითად, მ.ყ.-ს საქმეზე³³ პირი მსჯავრდებული იქნა ცოლისათვის დანით სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაში, დანაშაულში, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით. იმის მიუხედავად, რომ ამგვარ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა სასამართლომ სტამბოლის კონვენციით ახსნა, სასამართლომ ბრალდებულს მინიმალურ ზომაზე ერთი წლით მაღალი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით შეუფარდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს დანაშაული პირობითი მსჯავრის პერიოდში იყო ჩადენილი. ამასთან, აღნიშნულ საქმეში სასამართლომ შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია ის, რომ ბრალდებულს ოთხი

შვილი ჰყავდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბრალდებული თავის შვილებზე ისევე ძალადობდა, როგორც ცოლზე, რომელსაც სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება მიაყენა. შესაბამისად, გაუგებარი დარჩა, როგორ შეიძლებოდა, ეს გარემოება შემამსუბუქებელი ყოფილიყო.

საანგარიშო პერიოდში ბათუმის სასამართლომ განიხილა საქმე³⁴, რომელიც ეხებოდა მამაკაცის მიერ თავისი პარტნიორი ქალის მკვლელობის მცდელობას, ასევე, პარტნიორი ქალის მეგობრის მკვლელობას, იმის გამო, რომ თავის მეგობარს ხელს უშლიდა, ბრალდებულთან ინტიმური ურთიერთობა გაეგრძელებინა. იმის მიუხედავად, რომ ბრალდებულს თავის პარტნიორ ქალთან არ უცხოვრია და, მით უმეტეს, არც მოკლული ქალი იყო მისი ოჯახის წევრი, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთითა სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მეორე პუნქტზე. ამ ნორმაში აღნიშნულია: „დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“. იმის მიუხედავად, რომ ამ დანაშაულში იკვეთებოდა გენდერული მოტივი და ამის გამო მოსამართლეს ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის პირველი პუნქტით სასჯელის დამძიმების უფლება, ამ დანაშაულის ჩამდენი არცერთი დაზარალებული ქალი ბრალდებულის ოჯახის წევრი არ ყოფილა. განაჩენში არ არის დასაბუთებული, რატომ იყო რელევანტური სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მეორე პუნქტი აღნიშნულ საქმეში.

მეორე მხრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ა.ჯ.-ს საქმეში³⁵ სასჯელი ერთი წლით დაამძიმა. მსჯავრდებული თავისი პარტნიორი ქალის მოკვლას შეეცადა და ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა პარტნიორი ქალის შვილის მამა. პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც სასჯელი დაამძიმა.

32 თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/3253-18.

33 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1/164-2018.

34 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-5/19.

35 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3253-18.

დასკვნა

ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი აჩვენებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის კუთხით მთელი რიგი წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ფემიციდთან ბრძოლისა და ფემიციდის საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულების მიმართულებით, კვლავ ბევრი გამოწვევა რჩება.

განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, გამოძიების ეტაპზე შეისწავლება ფემიციდამდე და ფემიციდის მცდელობამდე ძალადობის წინაისტორია. გამოძიება, ხშირად, დამატებით სამართლებრივ კვალიფიკაციას აძლევს ამგვარ წინაისტორიებს, ძირითადად სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის წინაისტორიის შესწავლით საბუთდება პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნა.

პროკურორები საანგარიშო პერიოდშიც განაგრძობდნენ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას ფემიციდის მიმართ და საპროცესო შეთანხმებას ასეთ დანაშაულზე არ აფორმებდნენ. ამის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში გამოძიებას ჰქონდა პრობლემები ფემიციდის მცდელობის იარაღის დადგენის თვალსაზრისით.

ასევე მისასალმებელია, რომ საერთო სასამართლოების ნაწილმა აქტიურად დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, ასევე სტამბოლის კონვენციის მითითება ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეებში. წინა წლებთან შედარებით, 2018 წელს ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებში სასამართლოებმა გამოიყენეს სასჯელის უმაღლესი ზომა - უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ამის მიუხედავად, როგორც მოსამართლეების ნაწილში, ასევე, ზოგადად იურიდიულ საზოგადოებაში, კვლავაც პრობლემაა ეჭვიანობის და სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ჩადენილი მკვლელობის/მკვლელობის მცდელობის დაკვალიფიცირება ფემიციდად (ფემიციდის მცდელობად), ასეთი დანაშაულის გენდერული მოტივით ჩადენილად მიჩნევა; დამატებით, პრობლემაა ისიც, რომ პროკურორები, ზოგჯერ არ ასაჩივრებდნენ ასეთ განაჩენებს ზემდგომ ინსტანციაში, გენდერული მოტივის დადგენით, სასჯელის დასამძიმებლად. პრობლემა იყო ისიც, რომ მოსამართლეები სასჯელის შესამსუბუქებლად იყენებდნენ გაუგებარ კრიტერიუმებს (ბრალდებულის მრავალშვილიანობას და ა.შ).

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 30-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, შემუშავდეს დროული, ადეკვატური და ეფექტიანი კომპენსაციის გაცემის წესი
- შემუშავდეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის ადმინისტრაციული მონაცემების/სტატისტიკის შეგროვებისა და ანალიზის ერთიანი მეთოდოლოგია და სახელმწიფო უწყებებმა უზრუნველყონ მისი ეფექტიანი აღსრულება.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას:

- შეიქმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც კრიტიკულად გააანალიზებს პრევენციის არსებულ სისტემას ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის საქმეებთან დაკავშირებით და საკვანძო უწყებების, მათ შორის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების მონაწილეობით, იმუშავებს კონკრეტულად ფემიციდის პრევენციის სისტემის შექმნასა და დახვეწაზე.

იუსტიციის უმაღლეს სკოლას:

- სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლეები გადამზადდნენ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოვლენის საკითხზე, სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებებთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს:

- დასაშვებად ცნოს და განიხილოს ისეთი საკასაციო საჩივრები, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „გენდერის ნიშნით“ ჩადენილი დანაშაულების განმარტებასთან, რათა ხელი შეუწყოს ამგვარი დანაშაულების ერთგვაროვანი განმარტების პრაქტიკის ჩამოყალიბებას
- შეიმუშაოს ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა გამოვლენის მეთოდი და აწარმოოს ზუსტი სტატისტიკა.

საერთო სასამართლოებს:

- მოსამართლემ განაჩენში დეტალურად დაასაბუთოს, თუ რაში გამოიხატება დანაშაულში გენდერული მოტივის არსებობა და დანაშაულის გენდერული ნიშნით ჩადენა; ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მეორე პუნქტის ციტირების შემთხვევაში, კონკრეტულად დასაბუთდეს, რატომ არის ამ ნორმის გამოყენება რელევანტური საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით
- მოსამართლემ იზრუნოს, რომ ფემიციდის საქმეებზე არ გამოიყენებოდეს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, ბრალდებულს არ დაუნიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის მინიმუმზე დაბალი სასჯელი, როდესაც ქმედებაში აშკარად იკვეთება გენდერული ნიშანი
- სახელმძღვანელოდ იქნეს მიჩნეული სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის ახალი რედაქცია და სტამბოლის კონვენციის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ოჯახში ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელი (და არა შემამსუბუქებელი) გარემოებაა.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

- დანაშაულის ჩადენის იარაღის დასადგენად, მიიღოს ყველა ზომა, მათ შორის, დროული და კვალიფიციური სამედიცინო, ასევე, სამედიცინო საექსპერტო მომსახურების უზრუნველყოფის ჩათვლით. როდესაც ესპერტიზის დასკვნის მოპოვება ვერ ხერხდება, დანაშაულის იარაღის შესახებ ინფორმაცია მოიპოვოს სხვა წყაროდან
- ქალის გენდერულად მოტივირებული მკვლელობის ან მკვლელობის მცდელობის საქმეების შესწავლისას, იმ საქმეებში, სადაც დანაშაულის ჩადენამდე, ქალის მიერ, ძალადობასთან დაკავშირებით, სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვები იკვეთება, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებმა გამოიკვლიონ შესაძლო სამსახურებრივი გულგრილობის გარემოებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გაგრძელდეს თანამშრომლების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, შემუშავდეს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც შესაძლებელს გახდის გადამზადებულ თანამშრომელთა მიერ მიღწეული პროგრესის გაზომვას
- ძალადობის მსხვერპლთა ეფექტიანად დასაცავად და დასახმარებლად, განისაზღვროს გამომძიებელთა სპეციალიზაციის წესი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საქმეებზე
- გაუმჯობესდეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, კერძოდ, გაანალიზდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ინტიმურ პარტნიორთა შორის, მათ შორის, ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის, ძალადობის სპეციფიკური მახასიათებლების შესასწავლად.

დანართი №1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა³⁶

პროკურატურის მონაცემებით, 2018 წელს 22 ქალის მკვლელობის ფაქტია გამოვლენილი (მათგან 1 თვითმკვლელობამდე მიყვანა), საიდანაც 7 შემთხვევაში გამოიკვეთა ოჯახური დანაშაული, ხოლო 15 შემთხვევაში - სხვა მოტივი (მათგან 1 თვითმკვლელობამდე მიყვანა).

ასევე, ამავე წლებში 18 მკვლელობის მცდელობის ფაქტი იყო (მათგან 2 თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა), საიდანაც 11 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ოჯახური ნიშნით დანაშაულის ჩადენას (მათგან 2 თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა), ხოლო 7 საქმეში გამოიკვეთა სხვა მოტივი.

ოჯახური დანაშაულის ნიშნით მკვლელობა (7 შემთხვევა)

ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი მკვლელობიდან, 4 შემთხვევაში დევნა დაიწყო 11¹-108-ე მუხლით, 2 შემთხვევაში - 11¹-109-ე მუხლით.

1 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პასუხისგებაში მისაცემი პირის თვითმკვლელობას, 3 საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა შეურაცხადობის გამო.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 1 შემთხვევა, დასავლეთი - 1, კახეთი - 1, აჭარა - 1, ქვემო ქართლი -2, მცხეთა მთიანეთი -1.

დაზარალებულთა ასაკი: 30-დან 40 წლამდე - 3 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 2 ქალი; 70 წელს ზემოთ - 1 ქალი.

ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი: ქმრის/ყოფილი ქმრის მიერ ცოლის/ყოფილი ცოლის მკვლელობა - 1, შვილის მიერ დედის მკვლელობა - 1, მამობილის მიერ გერის მკვლელობა - 1, დის მიერ დის მკვლელობა -1, ძმის მიერ დის მკვლელობა - 1, ძმისშვილის მიერ მამიდის მკვლელობა -1, ოჯახის სხვა წევრის მკვლელობა (პირის, ვისთან ერთადაც ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას) - 1.

ოჯახური დანაშაულის ნიშნით მკვლელობის მცდელობა (11 შემთხვევა)

ოჯახური დანაშაულის ნიშნით მკვლელობის მცდელობიდან 4 შემთხვევაში, დევნა დაიწყო 11¹-19-108-ე მუხლით, 5 შემთხვევაში - 11¹-19-109-ე მუხლით, 2 შემთხვევაში - 11¹-115-ე მუხლით.

36 საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს წერილები: №13/6816, 31/01/2019წ; №13/86239, 09/12/2019 წ; №13/1865, 14/01/2020 წ.

1 შემთხვევაში დევნა შეწყდა შეურაცხადობის გამო.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 4, შიდა ქართლი - 1, აჭარა - 2, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1, იმერეთი - 3.

დაზარალებულთა ასაკი: 18 წლამდე - 1 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 3 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 4 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 3 ქალი.

ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი - 10 შემთხვევაში დანაშაული ჩაიდინა ქმარმა ან ყოფილმა ქმარმა, 1 შემთხვევაში - შვილმა.

სხვა მოტივით ჩადენილი ქალთა მკვლელობა (15 შემთხვევა)

აღნიშნული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით დაიწყო: სსკ-ის 108-ე მუხლით - 2 პირის მიმართ, სსკ-ის 109-ე მუხლით - 6 პირის მიმართ, სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, 115-ე მუხლით - 1 პირის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა 4 შემთხვევაში, ვინაიდან ჩატარებული გამოძიებით ვერ დადგინდა დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა. 1 საქმეზე გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო შეწყდა.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 3, კახეთი - 1, შიდა ქართლი - 3, აჭარა - 3, ქვემო ქართლი - 1, სამცხე-ჯავახეთი - 2, მცხეთა-მთიანეთი - 1, აფხაზეთი -1.

დაზარალებულთა ასაკი: 18 წლამდე - 4 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 1 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 2 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 4 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 3 ქალი; 70 წელს ზემოთ - 1 ქალი.

ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი - 4 შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია ნაცნობის მიერ, 1 შემთხვევა ეხება კაცის მიერ არასრულწლოვნის თვითმკვლელობამდე მიყვანას, 2 შემთხვევაში - უცნობის მიერ, 1 - ყოფილი პარტნიორის მიერ, 2 - პარტნიორის მიერ, 4 შემთხვევაში გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ (ასევე, 1 შემთხვევაში გამოძიება შეწყდა დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო).

სხვა მოტივით ჩადენილი ქალთა მკვლელობის მცდელობა (7 შემთხვევა)

3 პირის მიმართ დევნა დაიწყო 19.108-ე მუხლით, ხოლო 2 პირის მიმართ - 19.109-ე მუხლით.

1 საქმეზე დევნა შეწყდა ბრალდებულის შეურაცხადობის გამო, 2 საქმეზე დევნა არ დაწყებულა, რადგან ვერ დადგინდა დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა.

დანაშაულის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 3, შიდა ქართლი - 2, აჭარა - 1, იმერეთი - 1.

დაზარალებული ქალების ასაკი: 18-დან 30 წლამდე - 1; 30-დან 40 წლამდე - 2; 40-დან 50 წლამდე - 1; 50-დან 60 წლამდე - 3.

ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი - 2 შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ჩადენილია მეზობლის მიერ, 2 შემთხვევაში - უცნობის მიერ, 1 შემთხვევაში - პარტნიორის მიერ, 2 შემთხვევაში - გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ.

დანართი №2: განხილულ საქმეთა დეტალური ანალიზი

ფემიციდი

1. მ.კ.-ს საქმე (გორის რაიონული სასამართლოს №1/485-18 საქმე)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 2018 წლის 4 ივლისს, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა მ.კ.-მ, იქ ტურისტული მიზნით მყოფი რ.ს., მისი ცოლი, ლ.ს. და მათი ოთხი წლის შვილი, ქ.ს. დახოცა, ასევე გააუპატიურა ლ.ს.

მ.კ.-ს ქმედება დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით); სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ), სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ (ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა) და „ბ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით), ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურება).

2018 წლის 11 ივლისს, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, მ.კ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა.

2019 წლის 27 მარტს, გორის რაიონულმა სასამართლომ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობით, მ.კ. დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით); სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ), სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ (ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა) და „ბ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით), ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურება) წარდგენილ ბრალდებაში. სასჯელის ზომა მოსამართლემ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განსაზღვრა. მოსამართლემ მ.კ.-ს მიმართ გამოიყენა სასჯელის უმაღლესი ზომა - უვადო თავისუფლების აღკვეთა. ამის მიუხედავად, ქმედებაში გამოკვეთილი გენდერული მოტივის შესახებ მოსამართლეს განაჩენში არ უმსჯელია.

2019 წლის 25 აპრილს დაცვის მხარემ გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. 2019 წლის 20 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაცვის მხარის საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მ.კ.-ს მიერ მ.ს.-ს, ლ.ს.-ს და 4 წლის ქ. ს.-ის განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.³⁷

37 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

2. ნ.მ.-ს საქმე (რუსთავის საქალაქო სასამართლოს №1-71-19 საქმე)

პირის ბრალდების შესახებ 2018 წლის 18 დეკემბრის დადგენილებაში აღნიშნულია: 2018 წლის 10 დეკემბერს, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, მასთან მუდმივად მცხოვრები და ერთიანი საოჯახო მეურნეობის მქონე მამიდის, ბ.მ.-ს დამოკიდებულებით განაწყენებულმა ნ.მ.-მ, მისი მოკვლა გადაწყვიტა. ამ განზრახვით მან ბ.მ.-ს საძინებელ ოთახში ურთიერთშელაპარაკებისას ხელი ჰკრა, რის შედეგადაც იგი წაიქცა, თავი მიარტყა ტახტს და გონება დაკარგა. ამის შემდეგ ნ.მ.-მ გონებადაკარგული ბ.მ., კვალის დაფარვის მიზნით, სარდაფში ჩაიყვანა. ამ დროს ბ.მ. გონს მოვიდა, ნ.მ.-მ აიღო ხის ჯოხის ნაჭერი და რამდენჯერმე ჩაარტყა მას თავის/სახის არეში, რის შედეგადაც ბ.მ. გარდაიცვალა.

ნ.მ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი კვალიფიკაციით: 11¹-108 (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა) მუხლი.

2018 წლის 19 დეკემბერს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, რუსთავის საქალაქო სასამართლომ ნ.მ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეურჩია.

2019 წლის 21 თებერვალს რუსთავის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და 12 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბ.მ.-ს მიმართ (ან მიერ), ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირებით, პოლიციაში შეტყობინება არ შესულა.³⁸

3. ა.კ.-ს საქმე (რუსთავის საქალაქო სასამართლოს №1-754-18 საქმე)

2018 წლის 15 სექტემბერს, გამთენიისას, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, მასთან მუდმივად მცხოვრები და ერთიანი საოჯახო მეურნეობის მქონე ლ.ბ.-ს ქცევით განაწყენებულმა ა.კ.-მ მისი მოკვლა გადაწყვიტა. ა.კ. ამ განზრახვით შევიდა ლ.ბ.-ს საძინებელ ოთახში, ისარგებლა მისი უმწეო მდგომარეობით (ლ.ბ. ხანდაზმულია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი და ძირითადად მწოლიარე მდგომარეობაშია) და იქვე არსებული ელექტროსადენის ყელის არეში მოჭერით გაგუდა 73 წლის ხანდაზმული ლ.ბ. ა.კ.-მ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 1¹-109-2 “ბ” მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახის წევრის მკვლელობა).

ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, რუსთავის საქალაქო სასამართლომ ა.კ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა პატიმრობა.

2018 წლის 12 ნოემბერს რუსთავის საქალაქო სასამართლომ ა.კ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და 14 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. 2019 წლის 11 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი. 2019 წლის 30 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო ა.კ.-ს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ა.კ.-ს მიერ ლ.ბ.-ს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.³⁹

4. გ.ხ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/826-19 საქმე)

2018 წლის 27 ნოემბერს, ღამის საათებში გ.ხ. შეეცადა ძალადობით დაემყარებინა სქესობრივი კავშირი ს.ა.-სთან. ს.ა.-მ წინააღმდეგობა გაუწია და სასქესო ორგანოზე მიაყენა დაზიანება. ამის გამო გ.ხ.-მ დანით, შურისძიების მოტივით განზრახ მოკვლის მიზნით, ს.ა.-ს ყელისა და სხეულის სხვადასხვა ნაწილში მრავლობითი ქრილობა მიაყენა.

38 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი - MIA 3 19 00094825, 14/01/2019.

39 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

გ.ბ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი კვალიფიკაციით - 19-137-1 (გაუპატიურების მცდელობა) მუხლი და 108-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა).

2018 წლის 29 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, გ.ბ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა პატიმრობა.

2019 წლის 25 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობით გ.ბ. გაამართლა გაუპატიურების მცდელობაში, თუმცა დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობაში. თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.ბ.-ს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოქალაქე გ.ბ.-ს მხრიდან ს.ა.-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, უწყებაში შესულია მხოლოდ ერთი შეტყობინება, განხორციელებული მოქალაქე მ.ჭ.-ს მიერ. 2018 წლის 27 ნოემბერს მოქალაქე მ.ჭ.-მ 112-ზე დარეკა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის და სამაშველო ბრიგადის გამოძახება ითხოვა, ვინაიდან ბინაში სავარაუდოდ მყოფი პირები არ გამოდიოდნენ კონტაქტზე.⁴⁰

5. ვ.ბ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/3152-18 საქმე)

ვ.ბ. და ნ.გ. 2018 წლის 30 მარტს დაქორწინდნენ. ისინი წლების განმავლობაში ისედაც არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. თანაცხოვრების პერიოდში მათ დაეძაბათ ურთიერთობა და ხშირი კონფლიქტი ჰქონდათ. ამის გამო ნ.გ. ცდილობდა დაშორებოდა მეუღლეს. ვ.ბ. ამის წინააღმდეგი იყო და ყველა გზით ცდილობდა ურთიერთობის შენარჩუნებას. ნ.გ.-ს ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან, თ.გ., რომელიც მათ შორის ოჯახური კონფლიქტის ხშირი შემსწრე იყო, ხელს უშლიდა ვ.ბ.-ს, შერიგებოდა მეუღლეს. ამით განაწყენებულმა ვ.ბ.-მ, შურისძიების მოტივით, 2018 წლის 13 აპრილს, საცხოვრებელ სახლში გერ თ.გ.-ს, ამ უკანასკნელის არასრულწლოვანი შვილების, 2011 წელს დაბადებული გ.ა.-ს და 2015 წელს დაბადებული ნ.ა.-ს თანდასწრებით, მოკვლის განზრახვით, დანით გულმკერდისა და ყელის არეში მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მიაყენა. მიღებული ჭრილობის შედეგად თ.გ. ადგილზე გარდაიცვალა.

ვ.ბ.-მ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის მეორე წევრის მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით). 2018 წლის 17 აპრილს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ვ.ბ.-მ თავისი გერი განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ მკვლელობა მცირეწლოვანი ბავშვების თანდასწრებით ჩაიდინა. გარდა ამისა, ბრალდებულმა მსხვერპლს 30-მდე ჭრილობა მიაყენა. სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მიუთითა სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლზე, რაც გენდერული ნიშნით ან ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამძიმებას. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამოიყენა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული უმაღლესი სასჯელის ზომა - უვადო თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნ.გ.-ს და თ.გ.-ს მიმართ განხორციელებულ ოჯახში შესაძლო ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, პოლიციაში შესულია შემდეგი შეტყობინებები:⁴¹

- 2014 წლის 19 თებერვალს, ნ.გ.-მ განაცხადა, რომ ყოფილ მეუღლესთან დაკავშირებით პოლიციის განყოფილებაში დანერგილი ჰქონდა განცხადება, რის საფუძველზეც ვ.ბ.-ს აკრძალული ჰქონდა მასთან მიახლოება, თუმცა იგი ამ პირობას არ ასრულებდა, ვინაიდან წაღებული ჰქონდა მისი კუთვნილი მობილური ტელეფონი, რომლითაც მის მეგობრებს უკავშირდებოდა. ინიციატორმა 112-ს განუცხადა, რომ დამატებით განცხადების შეტანას აპირებდა პოლიციაში. შს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ვ.ბ.-ს მიერ შემაკავებელი ორდერის დარღვევის ფაქტი არ ფიქსირდება.

40 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი - MIA 5 18 03046783, 18/12/2018.

41 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილები - MIA 5 18 01257321, 29/05/2018; MIA 7 18 01128731, 14/05/2018.

- 2014 წლის 18 აგვისტოს, შს სამინისტროში შევიდა შეტყობინება ნ.გ.-ს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ფაქტზე, ამ ფაქტთან დაკავშირებით, ვ.ბ. მიცემულ იქნა პასუხისმგებლობა სსკ-ის 11¹,117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.
- 2018 წლის 13 აპრილს, ვ.ბ -ს მხრიდან ნ.გ.-მიმართ ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე, ასევე გამოიცა შემაკავებელი ორდერი.

6. ლ.გ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/2163-18 საქმე)

ლ.გ და ა.ნ. წლების განმავლობაში მეგობრობდნენ, ხვდებოდნენ ერთმანეთს და სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდათ. 2018 წლის თებერვალში ლ.გ.-მ ა.ნ.-სთან ფიზიკური ანგარიშსწორება და მისი მოკვლა გადაწყვიტა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ლ.გ.-მ 2018 წლის 22 თებერვალს, დილით, დაახლოებით 5 საათსა და 30 წუთზე, ა.ნ. სახლიდან გამოიხმო, რის შემდეგაც განსაკუთრებული სისასტიკით, ძლიერი ტკივილისა და ტანჯვის მიყენების განზრახვით, დანის არაერთჯერადი დარტყმით, მრავლობითი 33 (ოცდაცამეტი) ჭრილობა მიაყენა თავისა და კისრის არეში. მიღებული მრავლობითი დაზიანებების, საძილე არტერიების და საუღლე ვენის სრული გადაკვეთის შედეგად გამოწვეული მწვავე სისხლნაკლებობის გამო, ა.ნ. ადგილზე გარდაიცვალა.

სასამართლომ ვერ შეძლო მკვლელობის მოტივის დადგენა. ამის მიუხედავად, ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და უვადო თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ა.ნ.-ს მიმართ განხორციელებულ შესაძლო ძალადობასთან დაკავშირებით შეტყობინება არ შესულა. ამასთან, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში არსებული ელექტრონული ბაზის მონაცემებით, ასევე არ მოიპოვება ინფორმაცია ა.ნ.-ს მიმართ შესაძლო ძალადობის ფაქტზე შემაკავებელი ორდერის გამოცემის შესახებ.⁴²

7. ლ.უ.-ს საქმე (ბათუმის საქალაქო სასამართლოს №1-5/19 საქმე)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: 2018 წლის 24 ნოემბერს, ღამის, დაახლოებით 3 საათსა და 15 წუთზე, სამორინეში, ლ.უ.-მ შურისძიების მოტივით განზრახ მოკვლის მიზნით, თანაქონი დანის გამოყენებით, თავისი საყვარელი ქალის მეგობარს, ი.ზ.-ს, გულმკერდის და მარჯვენა ბარძაყის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. ი.ზ. მიყენებული ჭრილობების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა. ლ.უ.-მ ამავე დანის გამოყენებით, თავის საყვარელ ქალს, ხ.მ.-საც მიაყენა ხუთი ჭრილობა მარცხენა ქუთუთოს, საფეთქლის, მარცხენა მხარის, მარჯვენა მტევნისა და მარცხენა ბარძაყის არეში.

ლ.უ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-3, „ა“ (ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) და 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა).

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ლ.უ.-ს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 16-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. ამ საქმეში, კი იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს თქმით, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება არ არსებობდა, მსჯავრდებულს შეეფარდა მინიმალურ ზომაზე ერთი წლით მძიმე სასჯელის ზომა - თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ი.ზ.-ს მკვლელობისა და ხ.მ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტამდე, ხსენებული ქალების მიმართ განხორციელებულ შესაძლო ძალადობასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ შესულა.⁴³

42 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი - MIA 4 18 00708555, 27/03/2018.

43 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - MIA 8 18 03133932 28/12/2018.

ფემიციდის მცდელობა

1. მ.ყ.-ს საქმე (ზუგდიდის რაიონული სასამართლოს №1/164-2018 საქმე)

2018 წლის 4 თებერვალს, ურთიერთშელაპარაკების გამო ოჯახური კონფლიქტის დროს, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა მ.ყ.-მ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და დანა ესროლა მეუღლეს - ე.ჭ.-ს, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა მუცლის ღრუში შემღწევი, ჯანმრთელობის სიცოცხლისათვის საშიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო.

ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი კვალიფიკაციით - 11¹-117-1 (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც საშიფათოა სიცოცხლისათვის) მუხლი.

ალკვების ღონისძიების სახით, პატიმრობის ღონისძიების გამოყენებისას, მხედველობაში იქნა მიღებული ოჯახში ძალადობის კონტექსტი.

მ.ყ. დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით. დანაშაულის რეკიდივის გამო სასამართლომ ბრალდებულს დაუნიშნა სასჯელის მინიმალურ ზომაზე - სამი წლით თავისუფლების აღკვეთაზე ერთი წლით მეტი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

2018 წლის 15 ივნისს, დაცვის მხარემ, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი, სასჯელის შემსუბუქების მიზნით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. 2019 წლის 13 მაისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მ.ყ.-ს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სხენებულ ოჯახში შესაძლო ძალადობის თაობაზე, შესულია შემდეგი შეტყობინებები⁴⁴:

- 2016 წლის 9 აგვისტოს, მოქალაქე ე.ჭ.-ს გადმოცემით, კონფლიქტი ჰქონდა მეუღლესთან. გამოძახებაზე გავიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. ინიციატორს განემარტა შემაკავებელი ორდერის არსის შესახებ, მაგრამ ვინაიდან მეუღლეებს შორის ადგილი არ ჰქონია ძალადობის არცერთ ფორმას, შეადგინეს რეაგირების ოქმი, რომლის სისწორე დაადასტურეს ხელმოწერით.
- 2017 წლის 7 დეკემბერს, ე.ჭ.-ს გადმოცემით, კონფლიქტი ჰქონდა მეუღლესთან მ.ყ.-სთან, რომელიც მას და მის შვილებს აყენებდა როგორც ფიზიკურ, ისე სიტყვიერ შეურაცხყოფას. გამოძახებაზე გავიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. მოძალადის მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი 30 დღის ვადით.
- 2018 წლის 4 თებერვალს, ე.ჭ.-ს გადმოცემით, მეუღლე მ.ყ.-მ დანით დაჭრა მუცლის არეში. საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მთავარ სამმართველოს.

2. მ.მ.-ს საქმე (ზუგდიდის რაიონული სასამართლოს №1/649-18 საქმე)

2018 წლის 8 დეკემბერს, ღამის საათებში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მ.მ.-მ შეყვარებულს, ი.მ.-ს დანა ორჯერ დაარტყა მარჯვენა და მარცხენა ბეჭის მიდამოში, რის შედეგადაც ი.მ.-მ მიიღო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება, მ.მ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რაც საშიფია სიცოცხლისათვის).

2018 წლის 11 დეკემბერს, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, მ.მ.-ს მიმართ ალკვების ღონისძიების სახით გამოიყენა პატიმრობა.

44 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი - MIA 0 18 00446741, 23/02/2018.

2018 წლის 26 დეკემბერს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენით დაამტკიცა პროკურორისა და მ.მ.-ს შორის საპროცესო შეთანხმება. მ.მ. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ იქნა ცნობილი და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, აქედან 2 წელი და 6 თვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 წელი და 6 თვე ჩაეთვალი პირობითად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2018 წლის 8 დეკემბერს, მ.მ.-ს მიერ, ი.მ.-ს სიცოცხლისთვის სახიფათო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანების ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁴⁵

3. მ.გ.-ს საქმე (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს №1-193-18 საქმე)

2018 წლის 11 თებერვლის პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: მ.გ.-ს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვან, 2003 წლის 11 ნოემბერს დაბადებულ მეუღლესთან - ნ.ო.-სთან საყოფაცხოვრებო ნიადაგზე კონფლიქტური ურთიერთობა ჰქონდა. 2018 წლის 9 თებერვალს, საცხოვრებელ სახლში, მ.გ.-მ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე არსებული კონფლიქტის გამო, მოკვლის მიზნით, ბასრი საგნის სხეულის სხვადასხვა ადგილას, მათ შორის, გულმკერდისა და მუცლის არეში ჩართყმით, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა არასრულწლოვან მეუღლეს - ნ.ო.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

მ.გ.-მ ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-19-109-2^ბ მუხლით. (ოჯახის წევრის მიერ განზრახ მკვლელობის მცდელობა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ).

2018 წლის 12 თებერვალს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეარჩია. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, 2018 წლის 9 აგვისტოს განაჩენით, მ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და 13 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სასჯელი 1/4-ით შემცირდა და საბოლოო სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის და 9 თვის ვადით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შს სამინისტროს შესაბამის უწყებაში ნ.ო.-ს მიმართ/მიერ განხორციელებულ ოჯახში შესაძლო ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, შეტყობინებები არ შესულა.⁴⁶

4. გ.კ.-ს საქმე (სამტრედიის რაიონული სასამართლოს №1-25/18 საქმე)

2018 წლის 2 იანვარს, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა გ.კ.-მ თავისივე საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში, საწოლში მწოლიარე მეუღლეს, რ.კ.-ს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ზურგის მარჯვენა მხარეს, გულმკერდის არეში დანა ჩაართყა, რის შედეგადაც დაზარალებულმა სხეულის მძიმე ხარისხის, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება მიიღო.

გ.კ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-117-1 მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება).

2018 წლის 5 იანვარს, სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, გ.კ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს განაჩენით, გ.კ.-ს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის და 6 თვის ვადით. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ექვს წლამდე. მოსამართლემ ამ საქმეში მინიმუმზე ერთი წლით და 6 თვით მკაცრი სასჯელი დანიშნა.

45 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 9 19 03066775, 15/11/2019.

46 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი - MIA 2 18 00901864, 18/04/2018.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გ.კ.-ს მიერ მეუღლის, რ.კ.-ს სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანების ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁴⁷

5. თ.ა.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/3544-18 საქმე)

მეგობარი ქალის მიმართ სისტემატური ძალადობის გამო, თ.ა.-ს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-126-1 მუხლით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა) და დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-115-ე მუხლით (ოჯახის წევრის თვითმკვლელობამდე მიყვანა).

2018 წლის 4 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, თ.ა.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა.

2019 წლის 25 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ თ.ა. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში. სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლში შთანთქა ყველა სხვა მუხლით გათვალისწინებული სასჯელი და საბოლოოდ თ.ა.-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით. 2019 წლის 18 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თ.ა.-ს მიერ მეუღლის, ფ.ლ.-ს თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁴⁸

6. ზ.მ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/1311-18 საქმე)

2018 წლის 11 იანვარს, ზ.მ.-მ ყოფილ მეუღლეს - ფ.ფ.-ს და მის მეგობარ მამაკაცს, გ.დ.-ს, ეჭვიანობის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, სხეულის სხვადასხვა მიდამოში დანის გამოყენებით მიაყენა ნაკვეთ-ნაჩხველეთი ჭრილობები. ზ.მ.-მ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ შეძლო განზრახვის სისრულეში მოყვანა, რადგან გ.დ.-მ მას წინააღმდეგობა გაუწია. სამედიცინო დახმარების შედეგად მოხერხდა გ.დ.-სა და ფ.ფ.-ს სიცოცხლის გადარჩენა.

2018 წლის 13 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ზ.მ.-ს პატიმრობა შეუფარდა. განჩინების დასაბუთებისას სასამართლომ მიუთითა, რომ წარსულში ზ.მ.-ს მიმართ გამოცემული იქნა დამცავი და შემაკავებელი ორდერი, ასევე, ზ.მ.-ს დაეკისრა სახდელი ამ ორდერების პირობების დარღვევისათვის. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, ბრალდებული განაგრძობდა თავის დანაშაულებრივ საქმიანობას და საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გაანადგურებდა.

ქმედება საქართველოს სსკ-ის 11¹-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ან მეტი პირის, მათ შორის ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობა) დაკვალიფიცირდა.

2018 წლის 13 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, თავისი განაჩენით, ზ.მ. დამნაშავედ ცნო და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით. 2019 წლის 30 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი და განაჩენით ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი. 2019 წლის 9 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტამდე უწყებაში შესულია შემდეგი შეტყობინებები:⁴⁹

47 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

48 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

49 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 22 თებერვლის წერილი MIA 1 18 00431324.

- 2017 წლის 9 თებერვალს, მოქალაქე ფ.ფ.-მ პოლიციის განყოფილებას განცხადებით მიმართა, სადაც აღნიშნავდა, რომ ზ.მ. სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და მისი გაფრთხილება მოითხოვდა. ამასთან დაკავშირებით, ზ.მ. წერილობითი გაფრთხილდა.
- 2017 წლის 24 თებერვალს პოლიციის განყოფილებას განცხადებით მიმართა ზ.მ.-მ. მასში აღნიშნავდა, რომ მეუღლე მას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა, რაზეც ფ.ფ. ასევე წერილობით გაფრთხილდა.
- ხოლო 2017 წლის 3 მაისს, მოქალაქე ფ.ფ.-ს განცხადების საფუძველზე, ზ.მ.-ს მიმართ შემაკავებელი ორდერი გაიცა, ფ.ფ. კი, არასრულწლოვან შვილებთან ერთად თავშესაფარში გადაიყვანეს.
- 2017 წლის 15 ივნისს პოლიციის განყოფილებას მიმართა ფ.ფ.-მ, რომელმაც განაცხადა, რომ შემაკავებელი ორდერის მიუხედავად, ზ.მ. მაინც განაგრძობდა მასთან ტელეფონით კონტაქტს. ამის გამო თავშესაფრის იურისტმა სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მიმართა. 2017 წლის 8 ივნისს დამცავი ორდერი გამოიცა, თუმცა ზ.მ.-მ მასში გათვალისწინებული აკრძალვის პირობები დაარღვია. ამის შემდეგ გაესაუბრნენ როგორც ფ.ფ.-ს, ისე ზ.მ.-ს. 2017 წლის 21 ივნისს პოლიციის განყოფილებაში შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მიმართეს სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზე დამცავი ორდერის დარღვევისთვის ზ.მ.-ს 2 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.

7. ი.ც.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/737-18 საქმე)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: 2018 წლის 7 იანვარს, დღის საათებში, გ.ი.-ს სატელეფონო საუბრის დროს ყოფილი ქმარი, ი.ც. მოკვლით დაემუქრა და გ.ი.-ს მუქარის შესრულების საფუძვლიანი შიში გაუჩნდა. 2018 წლის 8 იანვარს, დღის საათებში, ი.ც.-მ ყოფილ მეუღლეს - გ.ი.-ს შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, სხეულის სხვადასხვა მიდამოში დანით 12 ნაკვეთი ჭრილობა მიაყენა, თუმცა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ვერ შეძლო განზრახვის სისრულეში მოყვანა, ვინაიდან შემთხვევის ადგილზე გამვლელმა მოქალაქემ, გ.ლ.-მ შეუშალა ხელი. გ.ი. საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სამედიცინო დახმარების გაწევის შედეგად მოხერხდა მისი გადარჩენა.

ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-19-108-ე (ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობა), 11¹-151-ე (ოჯახის წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა) და 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ცივი იარაღის ტარება განზრახ მძიმე დანაშაულისათვის, ნასამართლევ პირის მიერ) დაკვალიფიცირდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2018 წლის 10 იანვრის ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ი.ც.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 17 მაისის განაჩენით ბრალდებული დამნაშავედ ცნეს ყველა წარდგენილ ბრალდებაში. სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებულმა სასჯელმა შთანთქმა ყველა სხვა დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი და საბოლოოდ, ი.ც.-ს თბილისის საქალაქო სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. 2018 წლის 10 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ი.ც.-ს მიერ ყოფილი მეუღლის, გ.ი.-ს მკვლელობის მცდელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, პოლიციაში შესულია რამდენიმე მიმართვა:⁵⁰

- 2014 წლის 17 ნოემბერს, გ.ი.-ს შეტყობინებით, ყოფილ მეუღლესთან კონფლიქტი ჰქონდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოიცა შემაკავებელი ორდერი.
- 2015 წლის 26 იანვარს, მოქალაქე გ.ი.-ს შეტყობინებით, მისი ყოფილი მეუღლე ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებით ემუქრებოდა, თუმცა არ უფიქრია, რომ ამას მართლა გააკეთებდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით კვლავ გამოიცა შემაკავებელი ორდერი.

50 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

- 2015 წლის 1 თებერვალს, გ.ი.-ს შეტყობინებით, ყოფილი მეუღლე მას აწუხებდა და შემაკავებელი ორდერის პირობებს არღვევდა.
- 2015 წლის 17 მარტს, დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №004170315002 საქმეზე, ი.ც.-ს მიერ გ.ი.-ს გაუპატიურებისა და დამცავი ორდერის პირობების დარღვევის ფაქტზე. ი.ც.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111'-137-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 111'-381' მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის.

8. ა.ჯ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/3253-18 საქმე)

2017 წლის იანვრიდან ა.ჯ. არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ე.ბ.-სთან. ა.ჯ. მეუღლეზე სისტემატურად ძალადობდა, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და ამცირებდა. აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსის 126' მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანადასწრებით) დაკვალიფიცირდა.

2018 წლის 31 მაისს, დაახლოებით 15 საათზე, ე.ბ.-ის ბინაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა ა.ჯ.-მ ეჭვიანობის ნიადაგზე, მოკვლის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, საძინებელ ოთახში, მცირეწლოვანი ქალიშვილის, თ.გ.-ს თვალწინ, ზურგის არეში სიცოცხლისათვის სახიფათო გამჭოლი ჭრილობა მიაყენა ოჯახის წევრს - მეუღლეს, ე.ბ.-ს, რის შემდეგაც ნასროლი ტყვია ლოგინზე მყოფ მცირეწლოვან თ.გ.-სგან 15 სანტიმეტრის მანძილზე დაეცა. ამასთან, ე.ბ.-ის სისხლით სახე შეეღება მის მცირეწლოვან შვილს თ.გ.-ს. ამავე იარაღიდან სამზარეულოს შესასვლელთან, განსაკუთრებული სისასტიკით მოკვლის მიზნით, 3-ჯერ ესროლა თ.გ.-ს მამას, მ.გ.-ს და სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა გულმკერდის და მუცლის არეში.

ა.ჯ.-მ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-1 „ბ“-3 „ა“ „ბ“ მუხლით (განზრახი მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ჩადენილი ოჯახის ერთი წევრის მიერ სხვა წევრის მიმართ) გათვალისწინებული დანაშაული.

ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ, ა.ჯ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ა.ჯ.ს შეეფარდა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც არის სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმზე ერთი წლით მკაცრი სასჯელი (ეს ნორმა ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას). სასჯელის გამკაცრების მიზნით, 2018 წლის 4 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, პროკურატურამ თბილისის სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სასჯელის მიზანი, ა.ჯ.-ს მიმართ დანიშნული სასჯელი უნდა დამძიმდეს და დანაშაულთა ერთობლიობით უნდა განესაზღვროს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ხელს შეუწყობს სასჯელის მიზნის განხორციელებას, ამასთან, გახდება საფუძველი მომავალში მისი საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციისა და იქნება დამაფიქრებელი მისთვის, უკეთ გააცნობიეროს მეუღლის, ქალის მიმართ, ასევე, ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების ხასიათი, საზოგადოებრივი საშიშროება, გასაკიცხაობის ხარისხი და გამონეუვლი შედეგის სიმძიმე“.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შს სამინისტროს შესაბამის უწყებაში ე.ბ.-ს მიმართ განხორციელებულ ოჯახში შესაძლო ძალადობასთან დაკავშირებით, შესულია ერთი განცხადება. კერძოდ, 2017 წლის სექტემბერში, ე.ბ.-მ მიმართა პოლიციის განყოფილებას და მოითხოვა შემაკავებელი ორდერის გამოცემა. ე.ბ.-მ განაცხადა, რომ აღარ სურდა ა.ჯ. მას მიახლოებოდა, ვინაიდან მათ შორის ხშირად იყო კონფლიქტი და სურდა მის გარეშე მშვიდად ცხოვრება. დანაშაულის გამომძიებელი განცხადების საფუძველზე გაესაუბრა ორივე მხარეს და ა.ჯ.-ს მიმართ შემაკავებელი ორდერი გამოსცა. ორდერის მოქმედების ვადად

განისაზღვრა ერთი თვე და მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლთან, მის სამსახურსა და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფებოდა, ასევე, იმ სახლისგან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობდა. მოძალადის მხრიდან შემაკავებელი ორდერის დარღვევის ფაქტი არ დაფიქსირებულა. დამატებით გვეცნობა, რომ საკითხი, თუ რამდენად სწორად განისაზღვრა 2017 წლის სექტემბერში რისკები და იყო თუ არა მიღებული გადაწყვეტილება ადეკვატური, შეისწავლა გენერალურმა ინსპექციამ. შესწავლის შედეგად დადგენილი ფაქტების საფუძველზე, პოლიციის ორ მუშაკს დისციპლინური სახდელი (ერთ მათგანს - შენიშვნა, ხოლო მეორეს - სასტიკი საყვედური) დაეკისრა.⁵¹

9. ე.პ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/4483-18 საქმე)

2016 წლის დეკემბრიდან 2018 წლის 8 ივნისამდე პერიოდში, საცხოვრებელ სახლში, ე.პ. არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს, ლ.ვ.-ს, თანაცხოვრების პერიოდში სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, რაც ამ უკანასკნელის ტანჯვას იწვევდა.

2018 წლის 8 ივნისს, ღამის საათებში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ე.პ.-მ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირზე, ლ.ვ.-ზე ფიზიკურად იძალადა, კერძოდ, ხელ-ფეხის რამდენჯერმე დარტყმით თავის არეში სიცოცხლისათვის საშიფათო ქალა-ტვინის ღია ტრავმა და ერთი ნაჩხვლეტი ჭრილობა მიაყენა, რამაც ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია. ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 111-117-ე მუხლით დაკვალიფიცირდა. სისხლის სამართლის საქმეს თან ახლავს 2018 წლის 9 ივნისს გამოწერილი შემაკავებელი ორდერი.

ე.პ.-მ ასევე ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ოჯახში ძალადობა).

2018 წლის 11 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე ე.პ.-ს პატიმრობა შეუფარდა.

2018 წლის 27 ნოემბერს მიღებული განაჩენით, ე.პ. დამნაშავედ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით, საიდანაც ერთი წელი განესაზღვრა პირობითად, ორი წელი - ფაქტობრივად პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ე.პ.-ს მიერ მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის, ლ.ვ.-ს მიმართ ძალადობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁵²

10. გ.ს.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს №1-923-19 საქმე)

გ.ს., თანაცხოვრების პერიოდში, ქორწინებაში მყოფ მ.ც.-ს სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ამის გამო ისინი განქორწინდნენ. გ.ს.-ს არასრულწლოვანი ბავშვების ნახვასა და წაყვანასთან დაკავშირებით, ყოფილ მეუღლესთან, მ.ც.-სთან და მის დედასთან, ვ.ე.-სთან უთანხმოება ჰქონდა, რის გამოც მათი მოკვლა განიზრახა.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, გ.მ.-მ 2018 წლის 22 დეკემბერს შვილები თავის საცხოვრებელ სახლში წაიყვანა. იმავე დღეს, ღამის საათებში, ყოფილი მეუღლისა და სიდედრის დახოცვის განზრახვით, მათ საცხოვრებელ სახლთან მივიდა და ყოფილი ცოლის სახლში დიდი ოდენობით ბუნებრივი აირის შეშვების გზით სცადა მათი დახოცვა, თუმცა ვერ შეძლო თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, გ.ს. დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 111-19-109-ე მუხლი პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობა

51 შსს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 18 01738638, 20/07/2018.

52 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

ისეთი საშუალებით, რაც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას), 19-109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობა) და სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ -19-109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამ უკანასკნელი ნორმით გათვალისწინებულმა სანქციამ შთანთქა ყველა სხვა სანქცია და საბოლოოდ, გ.ს.-ს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2012 წლიდან - 2018 წლის 22 დეკემბრამდე, მოქ.: მ.ც.-ისა და ვ.ე.-ის მიერ, ან მიმართ განხორციელებულ შესაძლო ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, სსიპ 112-ის სამსახურში შეტყობინებები არ შესულა.⁵³

53 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი - MIA 1 19 03199635, 29/11/2019.

